ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ნინო ოკუჯავა

საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების მიზნები და ძირითადი მიმართულებები გარდამავალ პერიოდში

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერ ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი,

ლელა ბახტაძე

თბილისი

2020

ანოტაცია

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია გარდამავალ პერიოდში საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმების მიზნები და ძირითადი მიმართულებები, გარდამავლი ეკონომიკის კონცეფცია, მისი არსი და თანმდევი პრობლემები. ასევე, კრიზისის დაძლევისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გზები.

ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის განხილული ის მოვლენები, რომლებიც თან სდევდა საქართველოს ეკონომიკას საბჭოთა სისტემის რღვევისას. გაანალიზებულია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ეტაპები, მისი შემაფერხებელი თუ წამახალისებელი პირობები. ასევე, დასაბუთებულია სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა გარდამავალი ეკონომიკის განვითარებაში.

წარმოდგენილია, გარდამავალ პერიოდში განხორციელებული რეფორმები და შეფასებულია შოკური თერაპიის გატარების გზით მიღებული პოზიტიური და ნეგატიური შედეგები. ასევე, გაანალიზებულია ეკონომიკური რეფორმების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობის ცვლილებაზე. განხილულია პოსტრევოლუციური მთავრობის მემკვიდრეობა და მათი მზაობა არსებული პრობლემების გადაჭრის უზრუნველსაყოფად.

წინამდებარე ნაშრომში პოლიტიკური მდგომარეობის ცვლილების პარალელურად, გამოკვლეულია მთვრობის მიერ გატარებულ ეკონომიკური რეფორმების სუსტი და ძლიერი მხარეები, ასევე რეფორმების გავლენა მოსახლეობის კეთილდღეობის, ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და სიღარიბის დონის შემცირებასთან დაკავშირებით.

Anotation

The presented paper- „Goals and main directions of economic reforms implemented in Georgia during the transition period" by Nino Okujava, deals with the concept of transition economy, its essence and accompanying problams. Also ways to overcome the crisis and achieve macroeconomic stability.

The events that accompanied the georgian economy since the collapse of the soviet system are discussed in chronological order. Stages of transition to a market economy, its inhibiting or encouraging conditions. Also, the role and importanc of the state in development of economy during the transition period.

There are presented the first actions taken during the transition period, results obtained through shock therapy. Also economic rerforms carried out and their impact on changing the well being of the population. Discusses the legacy of post-revolutionary government and their willingness to deal with existing problems.

The paper covers the economic policy pursued by the new government, the reforms implemented and world rankings in parallel with the change in the political situation. Also, the real impact of the

above actions on the well-being of the population, the improvement of the economic situation and the reduction of the poverty level.

შინაარსი

ანოტაცია 2
Anotation 3
შესავალი 6
თემა 1. *გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია და ინდიკატორები* 9
თემა 2. ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები 18
თემა 3. 2003 წლის შემდგომ განხორციელებული რეფორმების თავისებურებები საქართველოში 33
დასკვნა 50
გამოყენებული ლიტერატურა: 54

შესავალი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ მისი წევრი ქვეყნებისა და ზოგადად პოსტ-სოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაცია განსხვავებული ტემპებითა და მიმართულებებით წარიმართა. საკმარისი დრო გავიდა აღნიშნული პროცესებისა და მოვლენების შესაფასებლად. რასაკვირველია, შეფასების პროცესში გასათვალისწინებელია კავშირის წევრი სოციალისტური წყობის ქვეყნების სასტარტო პირობები და ის გარე თუ შიდა ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენდნენ მიმდინარე პროცესებზე.

თავდაპირველად ძველიდან ახალ სისტემაზე გადასვლა დასავლური ტიპის სახელმწიფოების მშენებლობასთან იყო გათანაბრებული, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასა და დემოკრატიული სისტემის შექმნას გულისხმობდა. ამ დროის განმავლობაში კავშირის წევრმა ქვეყნებმა განვითარების სხვადასხვა დონეს მიაღწიეს, რაც გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური პირობებისა, მათ შორის მენტალური, კულტურული თუ სოციალური განსხვავებებით აიხსნება.

საქართველოს ე. წ. გარდამავალი პერიოდი ერთობ მრავალწახნაგოვანია. მოცემულ ნაშრომში, ყურადღება ძირითადად გამახვილებულია ეკონომიკურ ფაქტორზე, გარდამავალი პერიოდიდან დღემდე განხორციელებლი რეფორმებისა თუ ფსევდორეფორმების მიზნებსა და შედეგებზე.

პრობლემის აქტუალობა განპირობებულია ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მნიშვნელობით გარდამავალ პერიოდში. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო კვლავ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნად ითვლება, გატარებული ეკონომიკური რეფორმების შედეგები და მისი სრულყოფის აუცილებლობა ერთობ საშური საქმეა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია გარდამავალი ხანის ეკონომიკის არსი. იმ პროცესების ერთობლიობა, რომელსაც ეს ერთი კონკრეტული ტერმინი მოიცავს.

ჩამოყალიბებულია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მოცემული პროგრესის ინდიკატორები, განხორციელებული საქმიანობები და ინვესტიციები. ასევე წარმოჩენილია გარდამავალი ეკონომიკის თანმდევი პრობლემები, დასმულია კრიზისის დაძლევისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის გზები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს როლი და ჩართულობა გარდამავალ პერიოდში.

ნაშრომის მეორე თავი მოიცავს საბაზრო ეკონომიკური რეფორმების არსს და მათ მიმდინარეობას საქართველოში. წარმოდგენილია, გარდამავალ პერიოდში განხორციელებული პირველი მოქმედებები, შოკური თერაპიის გატარების გზით მიღებული შედეგები. მეზობელი ქვეყნების გამოცდილება და საქართველოს ფაქტობრივი რეალობა.

ასევე, აღნიშნულ თავში გამოკვლეულია საქართველოს ეკონომიკაში საფინანსო სისტემის სტაბილიზაციის უზრუნველყოფის მექანიზმები. ასევე, განსაზღვრულია ფისკალურ და ფულად-საკრედიტო სფეროებში რეფორმის წარმატებით განხორციელების მიმართულებები და დასაბუთებულია ეროვნული ვალუტის შემოღების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის აუცილებლობა ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

ნაშრომის მესამე თავი ეძღვნება 2003 წლის შემდგომ განხორციელებულ რეფორმებსა თუ ფსევდორეფორმებს, აქვე გამოვლენილია მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფაქტები და მათი გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. ამ პერიოდში იწყება ფინანსური წესრიგის აღდგენა, კორუფციასთან ბრძოლა სხვადასხვა ხერხებით. მოცემული პერიოდი გამოირჩევა ფართომასშტაბიანი პრივატიზაციით, რომელსაც თან სდევდა საგადასახადო რეფორმები. პრივატიზაციის პროცესში მთავრობის მხრიდან გამოვლინდა მანკიერი პრაქტიკაც. შეფასებულია 2012 წელს ხელისუფლების ცვლილების შემდეგ განხორციელებული რეფორმები, გაანალიზებულია ეკონომიკური მაჩვენებლები და მთავრობის მიერ მიღწეული შედეგები. ასევე გამოკვეთილია საქართველოს ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში.

მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესში ჩაერთო, საქართველო სწრაფი ეკონომიკური გადაწყვეტილებებისა და რეფორმების განხორციელების აუცილებლობის წინაშე დადგა.

წლების მანძილზე განხორციელებული მოქმედებების, განვლილი ფაზების, შეცვლილი სიტუაციისა თუ მდგომარეობის მიუხედავად, რჩება მრავალი გამოწვევა ეკონომიკური პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით. ყოველივე ეს, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებასა და ეკონომიკური მდგრადობის უზრუნველყოფას უკავშირდება.

ნაშრომის მიზანი გარდამავალი ეკონომიკის კონცეფციის გაანალიზება და მისი თანმდევი მოვლენებისა თუ პრობლემების აღქმაა. მნიშვნელოვანია იმ გზის შეფასება, რომელიც განვლო ქვეყანამ გარდამავალ ეკონომიკაზე გადასვლის მომენტიდან დღევანდელ ეტაპამდე. რამდენად სწორად იქნა გააზრებული ის პრობლემები, მიზნები, საჭიროებები, რომელთა წინაშეც საქართველო დადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის დღიდან. ჩამოყალიბდა თუ არა მართებული ინდიკატორები და რა დროის მანძილზე, როგორი ხარისხით განხორციელდა მათი შესრულება.

აგრეთვე, ქვეყნის განვითარების მახასიათებლებისა და ეკონომიკური განვითარების დონის შესწავლით, ჩამორჩენილობის მიზეზების გამოკვლევა.

კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმები. ეკონომიკური განვითარების კონცეფციები და მათზე მოქმედი ფაქტორები. სხვადასხვა ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენები და მათი გავლენა სახელმწიფოზე.

კვლევის მეთოდები. ჩატარებული კვლევის დროს გამოყენებულ იქნა ქართველი და უცხოელი ავტორების ნაშრომები, აღნიშნულ საკითხზე არსებული ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურა. ასევე სამეცნიერო კვლევები და ხელისუფლების მიერ შემუშავებული პროგრამები და კონცეფციები.

თემა 1. გარდამავალი ეკონომიკის კონცეფცია და ინდიკატორები

XX საუკუნის 90-იან წლებში სოციალისტური რეჟიმის რღვევის შემდეგ, ყოფილი საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები საბაზრო ეკონომიკის ფორმირებას შეუდგა. მოცემული ქვეყნების დიდი ნაწილი გარდამავალ პერიოდში აღმოჩნდა.

გარდამავალი ეკონომისკის კონცეფციის მიხედვით მთავარი არა ეკონომიკური პოლიტიკის და მეურნეობის რეფორმირებაა, არამედ სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია. ყოველვე ეს ეკონომიკის ყველა ელემენტის ცვლილებაში გამოიხატება, ის მოიცავს: რესურსების განაწილების წესს, კვლავწარმოების ტიპს, საკუთრებით ურთიერთობებს, ეკონომიკური განვითარების მიზნებს, საშუალებებს და ინსტიტუტებს.

ეკონომიკაში გარდამავალი პერიოდი გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესს აღნიშნავს. გარდამავალი ხანის ეკონომიკის ცნება გამოიყენება, რათა ერთი კონკრეტული ტერმინით აღინიშნოს პოსტსოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ერთობლიობა, რომელთა მიზანი კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული საბაზრო ურთიერთობის ფორმირება და სახელმწიფო საკუთრებაზე მონოპოლიის მოსპობაა.

ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბება საკმაოდ რთული და ამასთანავე ხანგრძლივი პროცესია. მასზე გავლენას სოციალური, პოლიტიკური, ტექნოლოგიური და ქვეყნის სხვა სპეციფიური პირობები ახდენს. ამასთან მან უნდა ასახოს ეკონომიკური სტაბილიზაციის ეტაპები, ქვეყნის განვითარების მიმართულებები და კრიზისიდან გამოსვლის გზები.

გარდამავალ პერიოდში პროგრესის გამოთვლის ინდიკატორები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ ჩამოყალიბდა, რომელიც შეიქმნა, მაშინ როდესაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შეიცვალა პოლიტიკური

კურსი და აღმოსავლეთის ქვეყნები საჭიროებდნენ მხარდაჭერას საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი არის დამოუკიდებელი ინვესტორი, რომელიც, როგორც გამოყოფს საკუთარ თანხებს, ასევე იზიდავს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ბანკი აფინანსებს, როგორც ახალწამოწყებულ საქმიანობას, ასევე არსებულ ბიზნესპროექტებს, თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო სექტორთან და აქვს დაფინანსების ფართო მასშტაბები.

კლასიფიკაციის სისტემა თავდაპირველად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 1994 წლის ანგარიშში გამოქვეყნდა და მომდევნო წლების განმავლობაში რამოდენიმეჯერ შესწორდა. საბოლოო ჯამში პროგრესის გამოთვლის ინდიკატორებმა შემდეგი სახე მიიღო:

1. ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია;
2. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პრივატიზაცია;
3. სამეწარმეო რესტრუქტურიზაცია;
4. ფასების ლიბერალიზაცია;
5. სავაჭრო და საგარეო გაცვლითი სისტემის რეორგანიზაცია;
6. კონკურენციის წახალისება;
7. საბანკო რეფორმა;
8. საპროცენტო განაკვეთის ლიბერალიზაცია;
9. ფასიანი ქაღალდების ბაზრების განვითარება;
10. ინფრასტრუქტურის რეფორმა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი საქართველოსთვის ძალზედ მნიშვნელოვანი პარტნიორია, ის აფინანსებს როგორც საჯარო ასევე კერძო სექტორის პროექტებს.(**დიაგრამა 1.1**)

დიაგრამა 1.1: ევოპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები.



წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი/ https://www.ebrd.com/home

ჩამორჩენილობის დასაძლევად, ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება აუცილებელია. ქვეყნის ეროვნული მეურნეობის განვითარებით შესაძლებელია სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციის გაძლიერება. ამ ამოცნების გადაჭრა დამოკიდებულია რეფორმებზე, რომელთა დახმარებით შესაძლებელი ხდება ეკონომიკური წინსვლა.

ეკონომიკის განვითარებისათვისა და ადამიანებისათვის საჭირო ზოგიერთი საქონელი პროდუქტის წარმოება შეიძლება სახელმწიფოს მიერ დაფინანსდეს. ასეთ საქონელს მიეკუთვნება ქვეყნის საგარეო უსაფრთხოება, კანონიერების დაცვა და გარკველწილად საშინაო უსაფრთხოებაც. სახელმწიფოს ისეთ საქმიანობას, რომელსაც სარგებლობა მოაქვს არა მხოლოდ იმ ადამიანებისთვის, რომელებიც მას მოიხმარენ, არამედ სხვებისთვისაც და ზოგადად მთლიანი ეროვნული მეურნეობისთვის, მიეკუთვნება განათლება, ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლა, აუცილებელი ინფრასტრუქტურა.

გარდამავალ პერიოდში ნებისმიერი სახელმწიფოს ეკონომიკის მთავარი თავისებურება არის მისი გლობალური დაუბალანსებლობა, რაც მაკროეკონომიკური პრობლემის განმსაზღვრელია. ყოველივე ეს უნდა გადაწყდეს გარდამავალ პერიოდში თანამედროვე ტექნიკურ-ტექნოლოგიურ საფუძველზე და სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელებით.

მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას გამოვლენის მრავალი ფორმა აქვს და ის რეფორმების პერიოდში მოქმედი ობიექტური თუ სუბიექტური ხასიათის ფაქტორების გადახლართვის შედეგია. მაკროეკონომიკური დაუბალანსებლობა საბიუჯეტო და სავაჭრო დეფიციტის, საგარეო ვალის ტვირთის, ფულის ჭარბი მასის, შეზღუდული სავალუტო რეზერვების, საბანკო სისტემაში მნიშვნელოვანი დანაკარგებისა და სახელმწიფო საწარმოებში ზარალის არსებობაში შეიძლება გამოიხატოს.

მაკროეკონომიკური სტაბილურობის მიღწევის ერთ-ერთ პირველ ნაბიჯს ფასების რეფორმა წარმოადგენს, რომლის ფაქტობრივი განვითრება დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით საწყის პირობებზე, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობის ხარისხზე, პოლიტიკურ სტაბილურობასა და მხარდაჭერაზე.

გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე აუცილებელია, შეძლებისდაგვარად სწრაფად დაიწყოს მკაცრი საფინანსო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება, რადგან შემცირდეს ბიუჯეტის დეფიციტი, გაქრეს ჭარბი ლიკვიდურობა და შეიზღუდოს საკრედიტო ექსპანსია. ამასთან საჭიროა გატარდეს შემოსავლის პოლიტიკა, რათა ფასების ზრდის საპასუხოდ შეიზღუდოს ხელფასის ზრდა. იმის მიხედვით თუ რამდენად ეფექტიანი იქნება სტაბილიზაციური პოლიტიკა, ქვეყანაში წარმოიქმნება სოციალური დაცვის სისტემის შექმნის აუცილებლობა, რათა დაცულ იქნას იმ ადამიანების ცხოვრების დონე, ვისზეც ეკონომიკური რეფორმა არასასურველ გავლენას მოახდენს. ვინაიდან უმუშევრობა რეფორმის ყველაზე მტკივნეულ შედეგად ითვლება, სოციალური დაცვის სიტემამ უნდა უზრუნველყოს დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის დაცვა ფასების ზრდის გავლენისგან.

მოკლევადიანი სტაბილიზაციური პოლიტიკის გატარების შემდეგ ავტონომიური საბანკო სისტემის დროულად შექმნა აუცილებელია. ასევე მნიშვნელოვანია ჩამოყალიბდეს სხვა ფინანსური დაწესებულებები და ინსტიტუტები.

ეკონომიკური რეფორმების საწყისი სტადია ჩვეულებრივ მკაცრი ფულად-საკრედიტო და საგადასახადო პოლიტიკითა და ფასების ლიბერალიზაციით ხასიათდება. ფასების ზრდის გამო იზრდება მოთხოვნა ხელფასების ზრდაზე. თუ ხელფასი ფასებზე სწრაფად გაიზარდა, აღმავლობა ვერ იქნება უზრუნველყოფილი, რადგან რეფორმები ვერ განხორციელდება. შემოსავლების პოლიტიკის ამოცანა რეფორმის პირველ წლებში გარკვეული ნორმების დადგენაა, რომელსაც საწარმოები დაიცავენ, რათა ხელფასები ფასების ზრდის შესაბამისად იყოს ინდექსირებული.

ზოგადად, სახელმწიფო საწარმოების უფრო ცუდი მესაკუთრეა, ვიდრე კერძო პირი ან არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციები. გამომდინარე აქედან, კერძო საკუთრებას უკეთ შეუძლია ხელი შეუწყოს საერთოდ მეურნეობის და ფირმების განვითარებას. რაც უფრო დიდია სახელმწიფოს ფინანასური საქმიანობის არეალი, მით უფრო მეტია გადასახადების მასშტაბები. ეს კი, აფერხებს ეროვნული მეურნეობის წინსვლას.

სახელმწიფო ის ორგანიზაციაა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით როგორც გარე, ასევე შიდა საშიშროებისაგან ადამიანების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფას ესწრაფვის. მისი ფუნქცია მოქალაქეთა ცხოვრებაში სამართლიანობის პრინციპის დაცვაა.

სოციალისტურმა სახელმწიფომ, თითქმის სრულიად დაჩრდილა არასახელმწიფო ორგანიზაციები. თავის გავლენას დაუმორჩილა ცხოვრების ყველა სფეროში (სამეურნეო, განათლება, ჯანმრთელობა, მასმედია) დასაქმებული ადამიანები. რასაკვირველია, სახელმწიფო საქმიანობის ზრდასთან ერთად, იზრდება მისი აპარატიც, რომლის შენახვაც, გადასახადების ზრდას მოითხოვს. ყოველივე ეს ამძიმებს სახლმწიფოს და შედეგად იწვევს მისი საქმიანობის გაუარესებას.

სახელმწიფოს მხრიდან წესებისა და ნებართვების დაწესება განსაკუთრებით აფერხებს ეკონომიკის განვითარებას, რადგან მეწარმეთაგან ეს მოითხოვს დიდი ენერგიისა და ფულადი სახსრების ხარჯვას. მსოფლიო გამოცდილება მოწმობს, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ადამიანთა სამეურნეო აქტიურობის დათრგუნვა საზიანოა. მაგრამ, ეკონომიკის ზოგიერთი სექტორის სახელმწიფოებრივი რეგულირება აუცილებელია, ასეთია მაგალითად გარემოს დაცვა.

სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი და ფორმები ეკონომიკაში, დამოკიდებულია მოცემული ქვეყნის მიერ შერჩეულ ეკონომიკური პოლიტიკის კურსზე და სოციალურ -

ეკონომიკური განვითარების მოდელზე. ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი საბაზრო მოდელის პირობებში არსებითად მცირდება.

სახელმწიფოს მონაწილეობას ტრანსფორმაციის პროცესში გადამწყვეტი როლი აქვს, ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც ორგანიზატორის ფუნქციის შესრულება შეუძლია ძველი ეკონომიკური სისტემის ახლით შეცვლის საქმეში.

გარდამავალ ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობა რამდენიმე მიზეზითაა განპირობებული:

1. მაკროეკონომიკური პროცესების დაუბალანსებლობის გაძლიერება, რომელიც, ერთის მხრივ, ტრანსფორმაციის პროცესისათვის დამახასიათებელი საკუთრების გარდაქმნასა და ეკონომიკის სტრუქტურის შეცვლის შედეგად ადრე არსებული ურთიერთობებისა და კავშირების ჩამოშლას უკავშირდება, მეორე მხრივ კი ფორმირებად საბაზრო მექანიზმს ჯერ კიდევ არ ძალუძს შექმნას მართვის ნიშანდობლივი ურთიერთობების და პროპორციების სპეციფიკური სისტემა. მომავალში საბაზრო მექანიზმის შექმნისა და ფუნქციონირებისას შეიძლება მოხდეს მაკროეკონომიკური პროპორციების რღვევა და მაკროეკონომიკური წონასწორობის დამყარების ხელისშემშლელი ფაქტორების ამოქმედება.

2. მოსახლეობის შემოსავლების არსებითი დიფერენციაცია, რომელიც პრივატიზაციის შედეგად შეძენილი ეკონომიკური რესურსების ფლობაში, საზოგადოების წევრებს შორის დიდი განსხვავებებისა და ქონებრივი უთანასწორობის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული, ხოლო შემდგომ კონკურენციულ ბრძოლასთან. ბაზრის უსუსურობას ამ პროცესებზე იქონიოს გავლენა და შემოსავლების დიფერენციაცია შეაჩეროს, მივყავართ მოსახლეობის ღარიბ და მდიდარ ფენებად დაყოფამდე, რაც ქმნის სოციალურ დაძაბულობას.

3. საზოგადოებაში ფართო სოციალური ფენის არსებობა, რომლის მატერიალური უზრუნველყოფა საბაზრო მექანიზმის მეშვეობით სრულად შეუძლებელია. მოცემული სექტორი ეროვნულ უსაფრთხოებასა და სახელმწიფოს მართვას, ასევე ჯანდაცვას, განათლებას, გარემოს დაცვას, საზოგადოების ნაკლებად უზრუნველყოფილი ფენების შენახვას მოიცავს. ასევე გასათვალისწინებელია უმუშევართა მატერიალური მხარდაჭერა.

4. საზოგადოების მოთხოვნა საგარეო ეფექტების შედეგების გამოთანაბრებაშია. კერძო მესაკუთრეთა დიდი რაოდენობის წარმოშობა ეროვნულ ბაზარზე ნებისმიერი ცალკეული მესაკუთრის ინტერესთა უპირატესობას გულისხმობს სხვებთან შედარებით. რიგ გარემოებებში კერძო ინტერესების რეალიზება საზოგადოებისთვის შესაძლებელია საზიანო აღმოჩნდეს, რადგან კერძო ინტერესი ყველა შემთხვევაში არ ემთხვევა საზოგადოებრივ ინტერესს. გარკვეული ღონისძიებებისა და ინსტრუმენტების მეშვეობით აუცილებელია კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების დაბალანსება.

5. სახელმწიფო სექტორის არსებობა ეროვნულ ეკონომიკურ სტრუქტურაში.

ზემოაღნიშნული მიზეზების არსებობა სპეციალური ინსტიტუტის მოთხოვნას ქმნის, ის უნდა გამოხატავდეს, როგორც მთლიანი საზოგადოების, ასევე ცალკეული წევრის ინტერესებს.

სახელმწიფო ეკონომიკის რეგულირებისათვის სხვადასხვა მეთოდებსა და ინსტრუმენტებს ფლობს. ეკონომიკის რეგულირების მეთოდები ორ ძირითად სახეობად იყოფა, ესენია პირდაპირი და ირიბი ზემოქმედების მეთოდები.

პირდაპირი მეთოდი გულისხმობს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ჩარევას ეკონომიკური სუბიექტების საქმიანობაში. მას მიეკუთვნება ისეთი მეთოდები, როგორიცაა:

1. ეკონომიკის ცალკეული სფეროს მხარდაჭერა (მაგ. სოფლის მეურნეობის, მცირე და საშუალოს ბიზნესის მხარდასაჭერად ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფა);

2. მონოპოლიის საქმიანობის შეზღუდვა;

3. ექსპორტ-იმპორტზე საბაჯო გადასახადების დაწესება;

4. საქონლისა და მომსახურების გარკვეულ ნაწილზე ფასების ზღვრული დონის დაწესება;

5. ხელფასის მინიმალური დონის დადგენა, მოსახლეობის გარკვეული კატეგორიებისათვის სოციალური შეღავათების მინიჭება.

ირიბი რეგულირების მეთოდი სახელმწიფოს ზემოქმედებას გულისხმობს ეკონომიკაზე მის მიერ შემუშავებული „თამაშის წესებით“. ირიბი მეთოდის ფორმებს წარმოადგენს, საგადასახადო სისტემა; კონკურენციის დამცავი კანონები; საბიუჯეტო ურთიერთობათა სისტემა; ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა სისტემა.

თემა 2. ეკონომიკური რეფორმების ძირითადი მიმართულებები

ლათინურად რეფორმა გარდაქმნას ნიშნავს, ასე რომ ეკონომიკური რეფორმა ეკონომიკის ძირეული გარდაქმნაა. ეკონომიკური რეფორმა იწვევს, როგორც ეკონომიკის მოწყობის, ისე მისი მართვის სისტემის შეცვლას. შესაბამისად, ეკონომიკური რეფორმის რეალიზაცია სახელმწიფოს მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის საფუძველზე ხორციელდება.

ლეგიტიმური ხელისუფლება აუცილებელია ქმედითი და ძლიერი ეკონომიკური რეფორმების გატარებისთვის. ისეთი, რომელიც დამოკიდებული არ იქნება მიმდინარე მოვლენებზე, როდესაც ხშირია სოციალური სტრესები და საზოგადოდ სოციალური მდგომარეობა მეტად არამყარია. ეკონომიკური რეფორმის წარმატებისათვის აუცილებელია შეგნებული კოლექტიური მოქმედებების ორგანიზება.

ეკონომიკური რეფორმის გამომწვევ ობიექტურ მიზეზთა შორისაა ეკონომიკური კრიზისი, არსებული ეკონომიკური სისტემის რღვევა და დაბალი ეფექტიანობა. შესაძლებელია, რომ ეკონომიკური რეფორმა არ მოიცავდეს ქვეყნის მთელ ეკონომიკას, არამედ ეხებოდეს მის რომელიმე დარგს ან სფეროს.

დემოკრატიული ინსტიტუტები ამცირებენ ეკონომიკური რეფორმების ტრანსაქციულ ხარჯებს და ზღუდავენ საზოგადოებრივი რესურსების ძარცვას. დემოკრატიული პოლიტიკური ბაზრით შექმნილი კონკურენცია იძლევა დაჯილდოებისა და დასჯის ხელმისაწვდომ მექანიზმს, რომლის ფარგლებშიც პოლიტიკოსებს მეტი პასუხისმგებლობა აქვთ თავიანთ შეცდომებზე და დაინტერესებულნი არიან ამ შეცდომებისაგან თავის დაცვაში. როდესაც ლიდერები დამოკიდებულნი არიან ეკონომიკური რეფორმების წარმატებაზე, ეს მოქალაქეებთან კოოპერირების უფრო მეტ

შესაძლებლობებს იძლევა და მათ მოქმედებებს საზოგადოების წინაშე მეტ პასუხისმგებლობებს ანიჭებს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატებისთვის არ არის საკმარისი პოლიტიკური სისტემის სათანადო მოწყობა, აუცილებელია აგრეთვე სახელმწიფო აპარატის ეფექტური ფუნქციონირება. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის პირობები, რომელშიც ხდება ეკონომიკური რეფორმების განხორციელება. ეს პირობები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ და დიდწილად განაპირობებენ რეფორმების წარმატებას. სახელმწიფოს სიძლიერე, თავისთავად, რეფორმატორებისათვის უნდა იყოს უმთავრესი პრიორიტეტი. საბაზრო რეფორმების პარადოქსი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი საჭიროებენ ძლიერ სახელმწიფოს.

ეკონომიკური რეფორმების წარმატების ალბათობა დემოკრატიულ საზოგადოებებში არსებულ იდეებსა და ღირებულებებზეა დამოკიდებული. ეს პირველ რიგში ეხება თანასწორობის იდეას - როდესაც მოქალაქეებს სჯერათ, რომ რეფორმების დანახარჯები თანაბრად ნაწილდება. ამ შემთხვევაში ეკონომიკურ რეფორმებს უფრო მეტი წარმატება ელით.

დემოკრატია და საბაზრო კაპიტალიზმი ორი ადამიანივითაა, რომლებიც დაქორწინდნენ, აქვთ ხშირი კონფლიქტი და მხოლოდ იმიტომ იტანენ ერთმანეთის, რომ არცერთ პარტნიორს არ უნდა განცალკევებულად ყოფნა.

მიზეზები, რომლებიც ერთმანეთისათვის შეთავსებადს ხდის დემოკრატიას და საბაზრო ეკონომიკას: პოლიარქიური დემოკრატია შესაძლებელია მხოლოდ იმ ქვეყნებში, სადაც არის თუნდაც საფუძვლები ჩაყრილი საბაზრო ეკონომიკისათვის, ხოლო იქ, სადაც საბაზრო ეკონომიკა არ დომინირებს, დემოკრატიის ადგილი არ არის. ამგვარი კავშირი არსებობს იმის გამო, რომ საბაზრო კაპიტალიზმის ძირითადი თვისებები მისაღებია და სასარგებლო დემოკრატიული ინსტიტუტებისათვის. ამის საწინააღმდეგოდ, არასაბაზრო ორიენტაციის ეკონომიკა ვნებს დემოკრატიას.

ამ დასკვნის გასახსნებლად შეიძლება აღვნიშნოთ, რომ გრძელვადიან პერიოდში საბაზრო ეკონომიკას მივყავართ ეკონომიკურ ზრდასთან, რაც ხელს უწყობს დემოკრატიას, რადგან ის არა მარტო ამცირებს სიღარიბეს და ზრდის ცხოვრების დონეს, არამედ, შედარებით ამცირებს სოციალური და პოლიტიკური კონფლიქტების ალბათობას.

საბაზრო ეკონომიკა დემოკრატიისათვის სასარგებლოა, რადგან იგი ქმნის განსაკუთრებულ სოციალურ და პოლიტიკურ პირობებს. ქმნის საკუთრების მფლობელებს, რომლებიც ეძებენ ავტონომიას, თავისუფლებას, განათლებას, კანონის დაცვას და მმართველობაში მონაწილეობას. ანუ ეს არის საშუალო ფენა, კლასი, რომელიც ქვეყანაში განსაზღვრავს დემოკრატიზაციის დონესაც, რადგან სწორედ მისგან მოდის ძირითადად დემოკრატიული იდეების განხორციელებისა და ინსტიტუტების შექმნის სურვილი და ინიციატივა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს და 90-იანი წლების დასაწყისში, გეგმიური ტიპის მმართველობა, რომელიც მბრძანებლურ ეკონომიკას გულისხმობდა, არაკონკურენტუნარიანობის გამო დაინგრა და დღის წესრიგში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა დადგა.

დაიწყო რა სოციალისტური სისტემის ტრანსფორმაცია, პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეს პროცესი უპირველეს ყოვლისა დემოკრატიის ინსტიტუტების მშენებლობაში გამოიხატა. ეკონომიკური სისტემა არ არის საზოგადოებრივი მოწყობის ის სფერო, რომელიც შეიძლება შეიცვალოს მთავრობის თვითნებური ჩარევით. პირიქით, ეს მეტისმეტად რთული სტრუქტურაა, რომელიც მოიცავს მრავალ სამართლებრივ და ფინანსურ ინსტიტუტს, ფორმალურ და არაფორმალურ წესს, საერთო ღირებულებებს და ტრადიციებზე დაფუძნებულ ქცევის ტიპებს. ეს ყველაფერი ქვეყნის სოციალურ და პოლიტიკურ ინსტიტუტებს ემყარება.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა საქართველოში დაემთხვა ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს. ამ უკანასკნელს კი თან

მოჰყვა პოლიტიკურ ძალთა მწვავე დაპირისპირება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის მოშლა და მასთან დაკავშირებული საომარი მოქმედებები, რომელიც საბოლოო ჯამში სამოქალაქო ომში გადაიზარდა და ხელისუფლების ძალისმიერი მეთოდით დამხობით დასრულდა. ცხადია ასეთმა რთულმა წინააღმდეგობრივმა ვითარებამ უფრო გააღრმავა ეკონომიკური კრიზისი, რომელიც ჯერ კიდევ გეგმიური ეკონომიკის დროს იყო დაწყებული.

ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია დაძაბულმა კრიმინოლოგიურმა გარემომ, კავშრებისა და მომწოდებლების დაკარგვამ, სამუშაო ძალის მიგრაციის მაღალმა მაჩვენებელმა. ყოველივე ამას ჰიპერინფლაცია და უმუშევრობის ზრდა მოჰყვა. ქვეყანა დადგა სწრაფი, რადიკალური ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე.

საქართველოს ეკონომიკაში რეფორმების შეფერხების ეტაპი 1993 წლიდან იწყება, რაც 1994 წლის შუა პერიოდამდე გრძელდება. ყოველივე ამის გამომწვევი მიზეზების ნაწილი ეკონომიკის სფეროს სცდება, ნაწილი მცდარი ეკონომიკური პოლიტიკის შედეგიია. სწორედ ეს ეტაპი შეიძლება მივიჩნიოთ ყველაზე ძნელ პერიოდად დამოუკიდებელი საქართველოს ეკონომიკის ისტორიაში.

1992 წელს საქართველოში პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, რომელიც მიმართული იყო საწარმოების სახელმწიფოსგან გათავისუფლებისკენ. საწყის ეტაპზე პრივატიზაციას მცირე და საშუალო საწარმოები დაექვემდებარა. ეს პროცესი საკმაოდ მალე, მისაღები შედეგებით დასრულდა, უკვე 1996 წელს კოეფიციენტმა სასურველ დონეს მიაღწია.

1997 წლიდან მასობრივ პრივატიზაციაში მთელი მოსახლეობა ჩაერთო. დაიწყო მსხვილი საწარმოების პრივატიზაცია, თუმცა ეს გაცილებით უფრო რთული აღმოჩნდა მცირე საწარმოების პრივატიზაციასთან შედარებით, რაც განპირობებული იყო საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკრი მიზეზებით.

განსაკუთრებულ ყურადღებას ის იმსახურებს, რომ მთავრობა, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისათვის საკუთარი პრობლემების, ხშრად სამართლიანი გადაბრალებისა და კრიტიკის მეტს არაფერს აკეთებდა, რატომღაც არ ელოდა, რომ მოსკოვიდან ვეღარ შეძლებდა ფულის ნიშნების მიღებას. 1993 წლის აპრილში საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა ბრუნვაში დროებითი ფულის ნიშანი, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონი გაეშვა, ამის მიზეზი კი რუსეთის ხელისუფლების მიერ საქართველოსთვის ფულის მიწოდების შეწყვეტა გახდა.

კუპონის მიმოქცევაში გაშვება საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, როგორც სახელმწიფოებრიობის მშენებლობის თვალსაზრისით, ასევე ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის, თუმცა ხელისუფლების სხვადასხვა რგოლის წარმომადგენლებმა კუპონის მიმართ არასერიოზული დამოკიდებულება გამოიჩინეს, ამან გადამწყვეტი ზეგავლენა იქონია დევალვაციური პროცესის გაძლიერებაზე.

უკონტროლო საკრედიტო ემისიამ საფუძველი ჩაუყარა ჰიპერინფლაციურ პროცესს. 1993 წლის შემოდგომიდან დაწყებული ფაქტობრივად არარსებული ბიუჯეტის ხარჯზე სასოფლო-სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტის მცდელობამ, საბოლოოდ მოშალა ქვეყნის საფინანსო სისტემა და საქართველო ჰიპერინფლაციურ სპირალში მოექცა.

1994 წელს მშპ-ს მოცულობამ 1990 წლის დონის მიმართ 27,5% შეადგინა, მრეწველობის პროდუქციამ შესაბამისად-12,9 %. 1993 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გამოშვება კრიზისამდელი 1990 წლის დონის 48,8%-მდე დაეცა. 1993-1995 წლებში ინვესტიციების მოცულობა 1990 წლის ანალოგიური მაჩვენებლის დაახლოებით 3%-ს შეადგენდა. ძირეულად შეიცვალა მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა. 1994 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოების მთელი მოცულობის 64 % მოდიოდა კვების მრეწველობაზე; 15,3%-სათბობ ენერგეტიკაზე; 5%-მდე სამთო

მეტალურგიაზე; 12,7 % მსუბუქ მრეწველობაზე; 2%-მანქანათმშენებლობაზე და ა.შ. (*რეფორმის პირველი შედეგები, თბილისი 1998*)

ამ პერიოდისთვის შექმნილი უმწვავესი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი ძირითადი მიზეზები მოკლედ შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესის გაჭიანურება, საქართველოსათვის მისაღები საბაზრო მოდელის შეურჩევლობა;
2. სსრკ-ის იმპერიის დაშლის შედეგად ტრადიციული ეკონომიკური კავშირების მოშლის საპირისპირო ეკონომიკური პოლიტიკის შეუმუშავებლობა;
3. ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების მიმართულებით საზოგადოების ფსიქოლოგიური მოუმზადებლობა;
4. ეკონომიკის რეგულირებასა და მართვაში სახელმწიფოს პასიურობა;
5. გარდაქმნებისათვის საჭირო საკანონმდებლო ბაზის მოუმზადებლობა;
6. აღმასრულებელი და საკანნმდებლო ხელისუფლების კადრების არაკომპეტენტურობა და დაბალი პროფესიონალიზმი;
7. „თოფიანი კაცის“ პრიორიტეტულობა პოლიტიკასა და ეკონომიკაში;
8. დაუსაბუთებელი, მცდარი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება;
9. საგადასახადო და საბიუჯეტო პოლიტიკის შეუმუშავებლობა;
10. ეროვნული მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალის იგნორირება;
11. საფინანსო-სამეურნეო კონტროლის, აღრიცხვისა და სტატისტიკური ანგარიშგების მოშლა. (მესხია ი, მურჯიკნელი მ. ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. თბლისი თსუ-ს გამომცემლობა, 1996.)

უკვე 1995 წლიდან შესაძლებელი გახდა გარკვეული ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რაც მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამის რეალიზაციის შედეგი იყო. 1995 წელს 1994 წელთან შედარებით მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 2,6%-ით გაიზარდა, ხოლო 1996 და 1997 წლებში აღნიშნული მაჩვენებლის ზრდამ შესაბამისად 11,2

და 10,6 პროცენტი შეადგინა, თუმცა ზრდის ასეთი მაღალი ტემპის შენარჩუნება შემდგომ წლებში ვერ მოხერხდა.

შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების დინამიკაზე ეკონომიკურ ფაქტორებთან ერთად არანაკლებ გავლენას ახდენდნენ არაეკონომიკური ფაქტორები და პირობები. მათ შორის:

1. ქვეყნის პოლიტიკურ წყობაში შექმნილი სირთულეები;
2. კონსტიტუციის არასრულყოფილება;
3. ტერიტორიების დაკარგვა;
4. სახელმწიფო მართვის სისტემის არაოპტიმალურობა;
5. საკადრო პოლიტიკის უქონლობა;
6. სახელმწიფო ხელმძღვანელი თანამდებობების გადანაწილება არაკომპეტენტურ, არაპროფესიონალ პირებზე;
7. პირად ამბიციებზე და თანამდებობრივ კრიტერიუმებზე დაფუძნებული დაპირისპირებები;
8. მეტისმეტი სიჩქარე და არაკომპეტენტურობა სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებაში;
9. ეკონომიკის პოლიტიზაცია;
10. ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურის გადაჭარბებული ორიენტირება უცხოეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტების რეკომენდაციებისა და ფინანსურ-ჰუმანიტარული დახმარებისაკენ, რის გამოც ყურადღების მიღმა დარჩა ქვეყნის საშინაო რესურსული პოტენციალის გამოყენება. ამის გამო გაიზარდა საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა და არაეფექტიანად იქნა გამოყენებული მიღებული კრედიტები და დახმარებები;
11. ქვეყანაში არჩევნების გაყალბების პრაქტიკის დანერგვა;
12. ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის არაეფექტურობა;

13. დემოკრატიის არასწორი გაგება;

14. სამართლებრივი ნიჰილიზმისი გაძლიერება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდა, კორუფციის, მექრთამეობის, თაღლითობისა და სხვა სამართალდარღვევათა მასობრივი ხასიათის მიღება.

ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლისას ორ მოდელს განიხილავენ - შოკურ თერაპიას და გრადუალიზმს. შოკური თერაპია უფრო ხისტ მონეტარულ პოლიტიკას გულისხმობს, სუბსიდიების შემცირებას, ასევე კონტროლს ხელფასებზე და ზოგადად მთლიანი ეკონომიკის ფუნქციონირების სტაბილიზაციას.

გრადუალიზმის თეორია განსხვავებით შოკური თერაპიისგან, რეფორმების გატარების ნელ, მაგრამ მტკიცე ეტაპს გულისხმობს. გრადუალისტური თეორიის წარმატებას მოსახლეობის მხრიდან მთავრობის მხარდაჭერა სჭირდება. ასევე მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარანტია და გარდაქმნისათვის საჭირო ფინანსური შესაძლებლობანი.

შოკურ თერაპიას, მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და ფასების ლიბერალიზაციისათვის, სხვა სფეროებში კი, მაგ: ვაჭრობის , მეწარმეობისა და სოციალურ სფეროში რეფორმებს უფრო ხანგრძლივი დროით განსაზღვრავდენენ. (*Fischer, Stanley, Sahay, Ratna and Vegh, Carlos. (1996.)*)

დამოუკიდებელ საქართველოში გატარებული ეკონომიკური რეფორმები საწყის ეტაპზე, ყველა იმ სქემასა და შეცდომას იმეორებს, რაც ზოგადად პოსტკომუნისტურ ქვეყნებში გატარებული რეფორმების პირველი თაობისთვისაა დამახასიათებელი. საქართველოში „შოკური თერაპია“ პოლონური სცენარის რუსული ვერსიით ისე დაიწყო, რომ ქვეყანას ამისათვის საჭირო ინსტიტუტები არ ჰქონდა.

შოკური თერაპია განსაკუთრებული პოპულარობით პოსტ-საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში სარგებლობდა. იგი გულისხმობდა, ფასების ლიბერალიზაციას, ფინანსურ სტაბილიზაციას, ბიუჯეტის

დეფიციტის შემცირებას, მკაცრი საკრედიტო პოლიტიკის გატარებას, სახელმწიფო სუბსიდიების გაუქმებას და ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს როლის მაქსიმალურად შემცირებას.

პირველი ქვეყანა, სადაც შოკური თერაპიის მეთოდით საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა დაიწყო, იყო პოლონეთი. ეს მოვლენა თან ახლდა კომუნისტრური რეჟიმის რღვევას. აღნიშნულ რეფორმას სათავეში ვიცე პრემიერი და ფინანსთა მინისტრი, პროფესორი ლეშეკ ბალცეროვიჩი ედგა, სწორედ ამიტომ მისი ხელმძღვანელობით შედგენილ გეგმას „ბალცეროვიჩის გეგმა“ ეწოდა.

„შოკური თერაპიის“ მეთოდის რეალიზება 1992 წლის იანვრიდან რუსეთშიც დაიწყო და მას სათავეში რუსეთის მთავრობის ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი ედგა. ერთი თვის დაყოვნებით „შოკური თერაპიის“ „ბალცეროვიჩისეული გეგმის“ გატარება თითქმის უცვლელი რუსული ვერსიით საქართველოშიც დაიწყო და მასაც ვიცე პრემიერი რომან გოცირიძე ჩაუდგა.

„ბალცეროვიჩის გეგმის“ თანახმად, საწყის ეტაპზე პოლონეთში თითქმის ერთდროულად შემდეგი ღონისძიებები გატარდა:

1. ყველა სახეობის ფასების მრავალჯერადი მომატება, ინფლაციური პროცესების შეგნებული ხელშეწყობა ბაზარზე წონასწორობის დამყარების მიზნით;

2. მოსახლეობის შემოსავლების „მკცარი“ შეზღუდვა;

3. საპროცენტო განაკვეთების მნიშვნელოვანი გაზრდა და ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა; მოსახლეობის მიერ ფულის დაზოგვის სტიმულირების მიზნით ანაბრებსა და სხვა დეპოზიტებზე პროცენტების გაზრდა;

4. ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შემცირებისა და წამგებიანი საწარმოთა დოტირებაზე უარის თქმით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შეკვეცა;

5. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მიზნით სახელმწიფო სესხის-ობლიგაციების გამოშვება.

6. სახელმწიფო სისტემის მოწესრიგება და მისი უნიფიცირება;

7. აშშ დოლარის მიმართ ზლოტის ერთიანი გაცვლითი კურსის შემოღება და შიგა ბაზარზე ზლოტის კონვერტირების უზრუნველყოფა;

8. ახალი საბაჟო ტარიფების შემოღება იმპორტის შეზღუდვისა და ექსპორტის სტიმულირების მიზნით.

9. მთავრობის რეალურ შესაძლებლობათა ფარგლებში მოსახლეობის იმ ნაწილისათვის სოციალური დახმარების აღმოჩენა, ვინც ამას მართლაც საჭიროებს;

10. მონოპოლიური სტრუქტურის ლიკვიდაცია და საწარმოთა საქმიანობაში სახელმწიფოს ადმინისტრაციულ ჩარევაზე უარის თქმა.

საქართველოს მთავრობამ „შოკური თერაპიის“ განხორციელება 1992 წლის თებერვალში დაიწყო.

განვიხილოთ თუ რამდენად შესრულდა საქართველოში „ბალცეროვიჩის გეგმის“ თითოეული პუნქტი:

1. რეფორმა ფასწარმოქმნაში საქართველოში ჯერ კიდევ 1991 წლის გაზაფხულზე დაიწყო, როცა ზოგიერთი სახეობის საქონელზე თავისუფალი ფასწარმოქმნა პირველად იქნა შემოღებული. თუ კი ეს მოვლენა 1991 წელს უფრო გამონაკლისის ელფერს ატარებდა, 1992 წლის 1 თებერვლიდან ფასწარმოქმნის სისტემაში უკვე რადიკალური ცვლილებები იქნა გატარებული: საქონლისა და მომსახურების ერთ ჯგუფზე რეგულირებადი ფასები მნიშვნელოვნად გაიზარდა. ყოველივე ეს საბაზრო წონასწორობის მიღწევისათვის იყო მიმართული. თუ 1991 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 180%-ს შეადგენდა, 1992 წელს ეს მაჩვენებელი 2500%-მდე გაიზარდა; 1991-თან შედარებით 1992 წელს

რეგულირებადი სამომხმარებლო ფასები 68-ჯერ, პურის ფასი კი – 100-ჯერ გაიზარდა. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პირველი პუნქტი მთლიანად განხორციელდა.

2. 1991 წელს მინიმალური ხელფასი და სოციალურად დაუცველთა დახმარებები მსოფლიო ეკონომიკის ცვლილებების მიხედვით დარეგულირდა. წინა წელთან შედარებით, 1991 წელს მინიმალური ხელფასი და საშუალო ხელფასი 1.85 და 1.26-ჯერ გაიზარდა. 1991 წელთან შედარებით 1992 წელს, 13.4 და 17.94-ჯერ. ხელფასებისა და სოციალური გასაცემლების ზრდა ფასების ზრდას მაინც აშკარად ჩამორჩა. ამიტომ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ „ბალცეროვიჩის გეგმის“ მეორე პუნქტი საქართველოში ნაწილობრივ განხორციელდა.

3. წინა წელთან შედარებით, 1992 წელს დეპოზიტების წლიური საპროცენტო განაკვეთი 2%-დან 5%- მდე გაიზარდა, ათწლიან დეპოზიტებზე კი – 9%- დან 80%-მდე, რაც ვერ ასახავდა რეალურ წლიურ ინფლაციას. ამასთან, ქვეყანას საკუთარი მონეტარული სისტემა არ გააჩნდა, კვლავ ცრკულირებდა სსრკ-ს ძველი და ახალგამოშვებული რუსული რუბლი. 1992 წლის მეორე ნახევრიდან ძალიან გართულდა რუსეთიდან ნაღდი ფულის კუპიურების საჭირო რაოდენობის დროული ჩამოტანა, ანაბრებზე აკუმულირებული ფული ხელფასების და პენსიების სახით იქნა გაცემული, რამაც პრაქტიკულად გამორიცხა ბრუნვაში არსებული ფულის მასის შეზღუდვა. ამიტომ „ბალცეროვიჩის გეგმის“ მესამე პუნქტი საქართველოში ვერ შესრულდა.

4. 1992 წელს ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ხარჯებში არ შემცირებულა, 1992 წლამდე ის 20-25%-ის ფარგლებში მერყეობდა. დოტაციების ფაქტობრივი მოცულობა 1992 წელს 1991 წელთან შედარებით თითქმის 5,1-ჯერ გაიზარდა. მართალია 1991 წელს დოტაციების ხვედრითი წილი საბიუჯეტო ხარჯებში 47%-ს შეადგენდა, ხოლო 1992 წელს ის 30,1%-მდე შემცირდა, მაგრამ ეს ფაქტი დოტაციების მოცულობის მრავალჯერადი ზრდის გამო იმის მტკიცებისთვის სულაც არა არის საკმარისი, რომ „ბალცეროვიჩს გეგმის“ მეოთხე პუნქტი საქართველოში შესრულებულად მივიჩნიოთ.

5. 1992 წელს გამოიშვა სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები, მათი რეალიზაცია მხოლოდ 1993წლის შემოდგომაზე განხორციელდა. იმ პერიოდში სახელმწიფო სესხის ობლიგაციები ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად საერთოდ არ გამოყენებულა. ნათელია, რომ საქართველოში ბალცეროვიჩის გეგმის მე-5 პუნქტიც არ შერულებულა.

6. 1991 წელს დაიწყო საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსის რეფორმა. შესაბამისად, მე-6 პუნქტი შესრულებულად უნდა ჩაითვალოს.

7. ვინაიდან საქართველოს არ გააჩნდა ეროვნული ვალუტა, შეუძლებელი იყო ეროვნული ვალუტის ერთიანი გაცვლითი კურსის და კონვერტულობის დაწესება ამდენად, „ბალცეროვიჩის გეგმის“ მე-7 პუნქტის შესრულება შეუძლებელი იყო.

8. 1992 წელს საქართველომ საბაჟო ტარიფები დააწესა, რომელიც განისაზღვრა 2%-ით იმპორტზე და 8%-ით ექსპორტზე, აღნიშნული კი იმპორტის შეზღუდვის და ექსპორტის სტიმულირების საწინააღმდეგოა. საქართველოში გეგმის არც მე-8 პუნქტი შესრულებულა.

9. 1991 წლიდან საქართველოში ხდებოდა ხელფასის ინდექსაცია. თუმცა, რადგან ყველა შემოსავალი ერთნაირი პროპორციით რეგულირდებოდა, ღარიბთა შემოსავალი მაღალანაზღაურებულთა შემოსავალზე ბევრად ნაკლებად იზრდებოდა და ვინაიდან ფასების ზრდა განსაკუთრებით ეხებოდა ისეთ ძირითად საქონელს, როგორიცაა პური, ღარიბები ბევრად უფრო ზარალდებოდნენ. რადგანა შემოსავლების ინდექსირების მიუხედავად 1992 წელს ვერ მოხერხდა მეტად გაჭირვებული ფენის მიზანმიმართული დახმარება, გეგმის მე-9 პუნქტიც შეუსრულებელი დარჩაა.

10. 1992 წელს სამართლებრივი სახელმწიფო განკარგულებებისა და რეზოლუციების საფუძველზე მოხდა მონოპოლიური საქმიანობის შეწყვეტისა და კონკურენტუნარიანობის წაქეზების პირველი მცდელობა. თუმცა, სახელმწიფო კვლავ

აგრძელებდა საწარმოთა საქმიანობაში ჩარევას. რაც მიუთითებს, რომ საქართველოში სრულად „ბალცეროვიჩის გეგმის“ ვერც მე-10 პუნქტი შესრულდა.

საბოლოო ჯამში, საქართველოში წარმატებულად ბალცეროვიჩის გეგმის მხოლოდ სამი პუნქტი (1, 2, 6) განხორციელდა.

1995 წლიდან საქართველოს ეკონომიკაში დიდი წარმატებების სამწლიანი ეტაპი დაიწყო. ეკონომიკური რეფორმის მოცემულ ეტაპზე საფინანსო სისტემა დასტაბილურდა, საგრძნობლად შემცირდა ეკონომიკის ცალკეულ სექტორში წარმოების დაცემის ტემპები, მეტიც ზოგიერთ მათგანში ზრდის ტენდენცია გაჩნდა. ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა შეიქმნა, მეტ-ნაკლებად ქმედითუნარიანი ორიარუსიანი საბანკო სისტემა ჩამოყალიბდა, შესაძლებელი გახდა საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღება და ფინანსური სტაბილიზაცია.

შემუშავდა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმბოლო და სამართლებრივი გარემოს საფუძველი - ქვეყნის კონსტიტუცია, რითაც ფაქტობრივად წერტილი დაესვა აღმშენებლობის ქაოსურ პროცესს და იგი კანონის ფარგლებში რეგულირების პრინციპებს დაექვემდებარა.

ფულად-საკრედიტო და ფისკალურ სფეროებში რეფორმის წარმატებით განხორ-ციელებამ კეთილსაიმედო ფონი შექმნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო-უკიდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ატრიბუტის - ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის, რაც 1995 წელს წარმატებით განხორციელდა. შემოღებული იქნა ეროვნული ვალუტა - ლარი და დადგენილი იქნა ლარის კუპონზე გადაცვლის ფიქსირებული კურსი 1 ლარი - 1 მილიონი კუპონი, ხოლო აშშ დოლართან მიმართებაში იგი 1,3 ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ფულის რეფორმამ არ გაიმეორა ის შეცდომები, რაც ხელისუფლებამ კუპონთან მიმართებაში დაუშვა. ამასთან, რეფორმის დროს ხელისუფლებამ არ გამოიყენა არავითარი კონფისკაციური ღონისძიებები და იგი წარმოგვიდგა საქართველოს ეროვნული ვალუტის სტაბილურობის გარანტად, ყოველივე ამან საზოგადოების თვალში ნდობა გამოიწვია და ლარი სწრაფად დამკვიდრდა, როგორც საყოველთაოდ აღიარებული კანონიერი გაცვლის საშუალება.

კომერციულ ბანკებს თანაბარ და ცივილიზებულ პირობებში ფუნქციონირების შესაძლებლობა მისცა გატარებულმა ღონისძიებებმა. მათგან, რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი შეილება გამოვყოთ:

1. შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო ეროვნული ბანკის საკრედიტო აუქციონმა, რომელზეც ნებისმიერ ბანკს უფლება აქვს დაუბრკოლებლად შეიძინოს და გაყიდოს ფინასური რესურსები საკუთარი ლიკვიდობის რეგულირებისა და მართვის თვალსაზრისით;
2. უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღო თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის სავალუტო სესიებმა, რამაც გააადვილა ბირჟის გარეთა სავალუტო ბაზის საქმიანობის კოორდინირება;
3. გაუქმდა შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც იურიდიულ პირს ეკრძალებოდა რამდენიმე ანგარიშის ფლობა და განკარგვა, რამაც გააადვილა ფინასური რესურ-სების დივერსიფიკაცია, ანგარიშსწორების სრულყოფა და ფულის მასის აღრიცხვა საბანკო სექტორში.

ლარს გადახდის ფუნქციის შესრულების პარალელურად ღირებულების საზომისა და დაგროვების ფუნქცია შესძინა საბანკო სექტორში სწორად წარმართულმა მონეტარულმა პოლიტიკამ.

1997 წელს საქართველოში 243 მლნ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია შემოვიდა, როცა წინა წელს მხოლოდ 4 მლნ დოლარი იყო.

სამწუხაროდ, 1998 წლიდან ეკონომიკური რეფორმების განხორციელებაში როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებით შეფერხებები იწყება. (დიაგრამა 2.1;)

დიაგრამა 2.1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-2018წლებში



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/

საქართველოს მდგომარეობა 1998-2000 წლებში საგრძნობლად გაუარესდა, განვითარებისა და ზრდის ტემპები შენელდა. ამ პერიოდისთვის წლიური ინფლაციის ტემპმა 11% შეადგინა. (დიაგრამა 2.2)

დანართი 2.1: 1995-2001 წლების საგარეო სავაჭრო ბრუნვა



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

თემა 3. 2003 წლის შემდგომ განხორციელებული რეფორმების თავისებურებები საქართველოში

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა, მათ მიმართ, როგორც ქართული საზოგადოების, ასევე ეკონომისტთა დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია. საქართველოს ახალ მთავრობას მემკვიდრეობით არაერთი გადაუწყვეტელი პრობლემა ერგო. სტაბილური იყო მხოლოდ ლარის გაცვლითი კურსი და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები, თუმცა, 90-იანი წლების პირველ ნახევართან შედარებით, როდესაც ინფლაციამ 70%-ს მიაღწია და მშპ 3-ჯერ დაეცა, შესამჩნევია მაჩვენებლის მყარი ზრდა. 2003 წელს თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის მილსადენის გაშვებამ მშპ 11,1%-მდე გაზარდა. (ცხრილი 3.1).

ცხრილი 3.1: წლიური მშპ-ს ზრდა და ინფლაცია საქართველოში, 1995-2003 წლებში

	1995	1996	1997	1998	1999	2000	2001	2002	2003
მშპ	2,6	11,2	10,5	3,1	2,9	1,8	4,8	5,5	11,1

სამომხმარებლო ფასები	57,4	13,7	7,2	10,7	10,9	4,6	3,4	5,4	7,0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

2003 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი 90 მლნ დოლარს, ხოლო საშინაო ვალი - 120 მილიონ დოლარს გაუტოლდა. მასში გადაუხდელი პენსიების წილი 57% იყო.

2004 წელს საპრეზიდენტო არჩევნებიდან რამდენიმე კვირაში, პარლამენტში სასწრაფოდ დამტკიცდა კონსტიტუციური ცვლილებები. შეიქმნა ლოიალური პარლამენტი არამარტო პრეზიდენტის, არამედ მთავრობის მიმართაც, ამან პარლამენტის დამოუკიდებლობა დაასუსტა.

მართალია, ძალაუფლების ამგვარ კონცენტრაციას სულაც არ მოჰყოლია დემოკრატიის განვითარება, თუმცა არც ის შეიძლება ითქვას, რომ მას დადებითი შედეგები არ ჰქონია.

გაძლიერებულმა საპრეზიდენტო ძალაუფლებამ პოსტრევოლუციურ მთავრობას შეაძლებინა აღედგინა ფინანსური წესრიგი, გაეზარდა საგადასახადო შემოსავლები, საბიუჯეტო კრიზისი დაეძლია, ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა დაგროვილი საპენსიო და სახელფასო დავალიანებების დაფარვა.

სააკაშვილის პირველ წარმატებულ ცვლილებად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წლის მაისში აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე სახელმწიფო კონტორლის აღდგენა. რის შემდგომაც გამოჩნდა აჭარასთან ნორმალური საბიუჯეტო პროცესების წარმოების შესაძლებლობა.

2004 წელს საგადასახადო შემოსავლები სახელმწიო ბიუჯეტში მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამავე წლის ზაფხულში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 2003 წელს შეჩერებული პროგრამა განაახლა.

რევოლუციური მთავრობის კიდევ ერთი ცვლილება კრიმინალური სიტუაციის საგრძნობი გამოსწორება იყო. საგზაო პოლიცია სწრაფად შეიცვალა დასავლური ტიპის საპატრულო პოლიციით. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლამ ენერგეტიკულ სფეროში დადებითი შედეგები გამოიღო და არსებითად გაუმჯობესდა ელ. ენერგიის მიწოდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწესებამ ქრთამის შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხვა და დიპლომების გაყიდვის პრაქტიკა მოსპო.

მთავრობის დამატებით შემოსავლებს შეადგენდა „თავისუფლების საფასური“, რომელსაც ყოფილი სახელმწიფო თანამდებობის პირები დაპატიმრების შემდეგ გასათავისუფლებლად იხდიდნენ. ეს თანხები კი ძირითადად ძალოვანი უწყებების ბიუჯეტგარეშე ანგარიშებზე იქნა აკუმულირებული. რასაკვირველია, ეს პრაქტიკა შემოსავლების მიღების სტაბილური წყარო ვერ იქნებოდა.

2003 წლიდან მსოფლიო ბანკმა საქართველო როგორც მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად რეფორმირებად ეკონომიკად აღიარა. საქართველო მოწინავე რეფორმატორი იყო 2006-2007 წლებში ბიზნესის წამოწყებაში, ლიცენზიებში, დასაქმებაში, ინვესტორების უსაფრთხოებაში, საკუთრების რეგისტრაციაში.

მთავრობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია. მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია საკუთრების რეგისტრაციის გამარტივებაში. სამოქალაქო რეესტრის საქმიანობა თვისობრივად გაუმჯობესდა. მათავრობის წარმატებებს შორის ასევე უნდა აღინიშნოს საგადასახადო რეფორმა, რომლის შედეგადაც გადასახადების ტიპების რაოდენობა ორი მესამედით შემცირდა. 2003-2010 წლებში მოხდა 4280 ობიექტის პრივატიზაცია, მიღებულმა შემოსავალმა 1,6 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა.

პრივტიზაციის პროცესში ხშირად მთავრობა საბაზრო მოთამაშის როლს ითავსებდა. ის კერძო სექტორისათვის დამახასიათებელი მეთოდებით ცდილობდა ფასის აწევას და ობიექტის „სარფიანად“ გაყიდვას.

სავაჭრო რეგულირების გამარტივებისა და ლიბერალიზაციის შემდგომ კიდევ უფრო გაიხსნა საქართველოს სავაჭრო საზღვრები. გამარტივდა ექსპორტ-იმპორტის პროცედურები , გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელმისაწვდომობა, ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემო. თავისუფალი საბაზრო რეჟიმის ფორმირებამ ადგილობრივი საწარმოების კონკურენტუნარიანობაზეც მოახდინა გავლენა.

ბიზნესისთვის გამარტივდა ლიცენზიების შემოღების სისტემა, რაც გამოოიხატა იმაში, რომ ლიცენზიის მიღებისათვის საჭირო მოქმედებების რაოდენობა 909-დან 159-მდე დაეცა, 75%-ით შემცირდა საკუთრების რეგისტრაციის დრო, ხარჯი კი 70-%-ით.

გამარტივებული და მისაღები საგადასახადო კოდექსის შემოღების შედეგად გადასახადების რაოდენობა 21-დან 9-მდე შემცირდა. დღგ 20%-დან 18-%-მდე, სახელფასო ბეგარა კი 32%-დან 20%-მდე. სხვადასხვა პროდუქციაზე შემცირდა საიმპორტო გადასახადი, ამან საქართველო მეტად კონკურენტუნარიანი გახადა.

მაშასადამე, მთავრობის ძალაუფლების გაფართოებამ უზრუნველყო ისეთი ამბიციური რეფორმების გატარება, როგორიცაა ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია, ბიზნესის ლიცენზირების გამარტივება და ტარიფებისა და გადასახადების განაკვეთის შემცირება. ყოველივე ამან მეტად მიპყრო საერთაშორისო ყურადღება.

ამასთან, პოსტ-რევოლუციური ხელისუფლების რეალურ მიღწევებთან ერთად, ეკონომიკაში მრავალმა გარდაქმნამ მითოლოგიური სახე მიიღო.

მთავრობის მიერ ჩატარებული რეორგანიზაცია არაერთ სამინისტროს შეეხო. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი ეკონომიკის განვიტაების სამინისტროს შეუერთდა. მანამდე დამოუკიდებელი ერთეულის სამინისტროსთან გაერთიანება ინტერესთა კონფლიქტს წარმოადგენდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მიუხედავად ფაქტებისა, სტატისტიკას ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის უპირობო გაუმჯობესება უნდა ეჩვენებინა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ საქართველოში დაგროვდა საკუთრების უფლების დარღვევის მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით, ქართველ ბიზნესმენებთან მიმართებაში. კერძო მფლობელებს აიძულებდნენ „ნებაყოფლობით“ დაეთმოთ საკუთრება, ანადგურებდნენ კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა ნაგებობებს სასამართლო გადაწყვეტილებების გარეშე. სასამართლო ხელისუფლება დამოკიდებლი გახდა პოლიტიკურ ელიტაზე და მთავრობა სისტემატიურად უხეშად ერეოდა ბიზნესში.

2007-2008 წლებში მეწარმეებს დაევალათ სამი თვის განმავლობაში დაესაქმებინათ 50 ათასი უმუშევარი, რაშიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების სახით იხდიდა თვეში 200 ლარის ოდენობით. სახელწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა მილიონობით ლარი, დასაქმდნენ ერთეულები, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში მოხდა გარიგებები მეწარმეებსა და უმუშევრებს შორის. ნაცვლად უმუშევართა დასაქმების ზრდის ხელშეწყობისა გამოყოფილი თანხები უმუშევართათვის შემწეობის გაღებაში გამოიხატა. ასევე წინასაარჩევნოდ დარიგდა სასოფლო-სამეურნე ვაუჩერები, გაკეთდა სტუდენტთა დასაქმების პროგრამა ქალაქის დასუფთავებაში, ყოველივე ამის შედეგად ინფლაციის დონე კიდევ უფრო გაიზარდა.

2007 წელს მთავრობამ ეროვნულ ბანკს ჩამოაშორა საბანკო ზედამხედველობის ფუნქცია და მას მხოლოდ ინფლაციის რეგულირების ფუნქცია დაუტოვა. ყოველივე ეს ამ დამოუკიდებელ ინსტიტუტს მთავრობაზე დამოკიდებულს ხდიდა.

მოგვიანებით გაჩნდა იდეა საქართველოში შექმნილიყო თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რაც ისედაც „ინვესტიციური შიმშილის“ პირობებში მყოფი ქვეყნის სიტუაციას, მეტად დაამძიმებდა. აღნიშნულ პირობებში არამხოლოდ უცხოელი, ადგილობრივი ინვესტორებიც ფულს თავისუფალ ეკონომიკურ ზონაში დააბანდებდნენ და რეგიონები ინვესტიციების გარეშე დარჩებოდა.

2008 წლის აგვისტოში რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ საქართველო ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა. ამ დროს, ფინანსური დახმარების სახით

საქართველომ 4,55 მილიარდი აშშ დოლარი მიიღო, აქედან 2 მლრდ გრანტის და 2,55 მლრდ კრედიტის სახით. ეს თანხა გათვალისწინებული იყო როგორცს სახელმწიფო, ისე კერძო სექტორზე. მთავრობა იძულებით გადაადგილებულ პირებს საცხოვრებელ სახლებს უშენებდა, ერთის მხრივ ამან ეკონომიკა გამოაცოცხლა , დამატებითი მოთხოვნა გაჩნდა სამშენებლო მასალებზე, მუშახელზე, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ხარჯები ინფლაციური ხასიათის იყო. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ ამ სახლებს ყიდულობდა მთავრობა და არა კერძო პირები.

საქართველოში ომის შემდგომ შემცირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინება, ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ინვესტორები გლობლური ფინანსური კრიზისის პერიოდში ცდილობდნენ ინვესტიციები უფრო უსაფრთხო ქვეყნებში განეხორციელებინათ. (დიაგრამა 3.1) გლობალურმა კრიზისმა მნიშვნელოვნად შეამცირა საზღვარგარეთიდან ქართველების მიერ გადმორიცხული გზავნილების ოდენობა.

დიაგრამა 3.1: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2003-2013 წ.წ,



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

2008 წლის აგვისტოში სამხრეთ ოსეთში შეიარაღებული კონფლიქტის და საქართველოსა და რუსეთს შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების გაწყვეტის შემდეგ, გავრცელებული აზრი იყო, რომ ეკონომიკური ურთიერთობებიც წყდებოდა. ეს იდეა სიმართლეს არ შეესაბამებოდა, რადგან საქართველო შრომის ექსპორტიორი იყო რუსეთში, ხოლო რუსეთი ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი საქართველოში. საგარეო სავაჭრო ოპერაციების შეზღუდვით, საქართველოსა და რუსეთს შორის ვაჭრობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თუმცა, ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ 2010 წელს რუსეთი საქართველოს საგარეო ვაჭრობაში მეხუთე ადგილზე იყო (თურქეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და გერმანიის შემდეგ). (ცხრილი 3,2)

ცხრილი 3.2: საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან (მლ აშშ დოლარი)

წელი	2005	2008	2009	2010	2011	2012
ექსპორტი	153,7	29,7	21,1	34,7	36,6	46,8
იმპორტი	381,5	423,3	290,8	289,7	387,9	476,8
ბრუნვა	535,2	453	311,9	324,4	424,5	523,6

წყარო: საქართველოს სტატატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

ამავე პერიოდში საქართველოს ეკონომიკაში რუსეთის ინვესტიციებთან დაკავშირებით არსებული სტატისტიკური მონაცემები იმდენად მწირია, რომ რთულია რაიმე დასკვნის გამოტანა. ეს იმით არის განპირობებული, რომ ფირმების უმრავლესობა, რომლებიც ახორციელებდნენ ინვესტიციებს, რეგისტრირებული იყო ოფშორულ ზონებში, რაც ართულებს ფულის რეალური წარმომავლობის დადგენას.

ამრიგად, დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობის მიუხედავად , არ არსებობს საფუძველი იმის მტკიცებისა, რომ საქართველოსა და რუსეთს ერთმანეთთან ეკონომიკური ურთიერთობები არ ჰქონიათ.

საქართველოს ბაზრის განუვითარებლობამ, ხელი შეუწყო იმას, რომ გლობალური ფინანსური კრიზისის გავლენა არ ყოფილა იმდენად მძიმე, რომ საქართველოს ეკონომიკის ნგრევა გამოეწვია.

საქართველოს ეკონომიკამ მდგრადობა დონორთა დახმარების დამსახურებით შეინარჩუნა, რომლის მიღებაც ქვეყანას რუსულმა აგრესიამ გაუმარტივა. ამ მოვლენას „ომის პარადოქსი“ ეწოდა, რაც იმას ნიშნავს რომ საქართველოსთვის მეტად უარყოფითმა მოვლენამ, ომმა მოგვცა საშუალება ეკონომიკური კლაფსის თავიდან აცილებისა.

სამწუხაროდ, ამ მძიმე კრიზისის დროს მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯები და ანტიკრიზისული ღონისძიებები სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდებოდა.

2012 წლის პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგად სახელისუფლებო პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, კოალიციაი „ქართულმა ოცნებამ“ ჩაანაცვლა. ახალი მთავრობის პირობებში საქართველოში ეკონომიკური პოლიტიკის გაუჯობესების ძირითადი ორიენტირები გამოიკვეთა. ახალი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ მთავარ პრინციპს დაეყრდნო. ესენია, სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევაზეა ორიენტირებული, მეორე პრინციპს წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ინკლუზიური ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს, აქ იგულისხმება მოსახლეობის ჩართულობა ეკონომიკის განვითარების პროცესში, საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა, სოციალური თანასწორობა. მესამე ძირითად პრინციპად დასახელდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ეკონომიკური განვითარების პროცესში.

საქართველოს მთავრობამ ეკონომიკური განვითარების მთავარ პრინციპად კერძო სექტორის თავისუფლების უზრუნველყოფა, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, სოფლის მეურნეობის განვითარება დაასახელა. დაიწყო კერძო სექტორის განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნა, სადაც უზენაესი იქნება საკუთრების უფლების დაცვა, სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა კერძო სექტორის საქმიანობაში, კონკურენციის წახალისება. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, ნაკლებად განვითარებული ადამიანური კაპიტალი, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ექსპორტის განვითარებისა და გაფართოების ხელშეწყობა, ტექნოლოგიური განვითარება, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

2012 წლიდან ხელისუფლების მთავარი გამოწვევა იყო საკუთრების უფლების დაცვა, რომელიც წინა წლებში მასობრივად ილახებოდა. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად შეიქმნა სხვადასხვა ინსტიტუტები , განხორციელდა რეფორმები და გადაიდგა გარკვეული სამართლებრივი ნაბიჯები. შედეგად მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის“ მიხედვით 2012 წელსთან შედარებით საქართველოს მდგომარეობა 83 პოზიციით გაუმჯობესდა. (დიაგგრამა 3.2) შეიძლება ითქვამს, რომ ქართულმა ოცნებამ ეს დანაპირები მთლიანად შეასულა.

დიაგრამა 3.2: საკუთრების უფლების დაცვის ინდექსი 2018-2019 წლებში 2012 წელთან შედარებით



წყარო: https://www.fraserinstitute.org/studies/economic-freedom

მსობლიო რეიტინგების მიხედვით 2012 წელთან შედარებით გაუმჯობესდა ისეთი მაჩვენებლებიც, როგორიცაა მაკროეკონომიკური სტაბილურობა, გაცვლითი კურსის პოლიტიკა, სავალუტო კურსისა და ფასების სტაბილურობა, ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალურ ეკონომიკური განვითარება. (დიაგრამა 3.3)

დიაგრამა 3.3: ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი.



წყარო : https://www.bti-project.org/en/atlas.html

2013 წელს 2012 წელთან შედარებით მშპ-ს რეალურმა ზრდამ 3,2% შეადგინა და 26 824.9 მლნ ლარს გაუტოლდა. ამავე წელს, საქართველოს ექსპორტი 22,4%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 0,2%-ით შემცირდა. 2012 წელთან შედარებით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 5%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებთან 72%-ით გაიზარდა, რამაც მთლიანი ექსპორტის 21% შეადგინა. ექსპორტის ზრდა დაფიქსირდა დსთ-ს ქვეყნებთანაც და ზრდის მაჩვენებელმა 30% შეეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 56% შეადგინა. ასევე ექსპორტის ზრდის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა რუსეთის ფედერაციასთანაც და ზრდის მაჩვენებელი 50%-ს გაუტოლდა, ამან საქართველოს ექსპორტის 6,6% დაიკავა.

კონკურენტული ბაზრის განვითარების მიზნით 2014 წელს საქართველოს მთავრობამ დაიწყო კონკურენციის განვითარების რეფორმა. შემუშავდა საქართველოს

კანონი „თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ“ რომლის მთავარი მიზანი იყო, თავისუფალი კონკურენციისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების ხელშეწყობა.

2014 წლის 31 მარტს შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანი კონკურენციის პოლიტიკის გატარება, კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებიბის გამოვლენა და აღკვეთაა.

საქართველოს მთავრობამ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვთარებს მიზნით დაიწყო რეფორმების განხორციელება. შეიქმნა „აწარმოე საქართველოში“ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების“ სააგენტოები.

„აწარმოე საქართველოში“ ორიენტირებულია მცირე და საშუალო საწარმოების ხელშეწყობაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, ექსპორტის ხელშეწყობაზე. მის მთავარ ამოცანას ახალი საწარმოების ჩამოყალიბება და სამუშაო ადგილების შექმნა წარმოადგენს. 2015-2018 წლის მონაცემებით „აწარმოე საქართველოში“ პროექტის ფარგლებში მხარდაჭერილი იყო 5313 პროექტი, ჯამური ინვესტიციის მოცულობამ 50 მლნ ლარამდე შეადგინა, თანადაფინანსების სახით კი 8412 ბენეფიციარზე გაიცა 22 949 474 ლარი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების სააგენტოს ძირითადი მიზანია ინოვაციური და ტექნოლოგიური საქიანობისს სტიმულირება. დამწყები მეწარმეებისა და სტარტაპების განვითარების მიზნით სააგენტო სხვადასხვა სახის დაფინანსების პროგრამებს სთვაზობს. მათ შორისაა, მცირე გრანტები და თანადაფინანსების გრანტები.

ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას და გულისხმობს ექსპორტის ზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. საერთაშორისო პარტნიორობის კუთხით ასევე აღსანიშნავია ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან შეთანხმება, ასევე

ჩინეთის რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მოლაპარაკებები. თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის გაფართოებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები წარიმართა. ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მოლოდინები უფრო რეალური ხდება.

აღნიშნულ შეთანხმების ხელმოწერა „ქართული ოცნების“ მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამან საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილში ეკონომიკური ოპტიმიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

არსებული შეთანხმებებით განსაზღვრული შესაძლებლობების ასათვისებლად , გაიზრდება საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა ფინანსური და ტექნიკკური თვალსაზრისით, რაც ქართულ ბაზარს ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანს.

2019 წელს პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი სრულად დააბალანსა და მისმა მოცულობამ შეადგინზ 1 267,7 მლნ აშშ დოლარი.

ბოლო წლებში წარმატებით ხორციელდება საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა, ამუშავდა ბიუჯეტის გამჭვირვალობის სისტემა და 2019 წლის რეიტინგების მიხედვით საქართველო მე-5 ადგილს იკავებს მსოფლიოს სრულიად გამჭვირვალე 117 ქვეყანას შორის.

2019 წელს უმუშევრობის დონემ 1,6% შეადგინა, რაც ბოლო 18 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალი ნიშნულია უმუშევრობისა. ამავე წელს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა თვითდასაქმებულთა რაოდენობას. უმუშევრობის დონე ბოლო წლების მონაცემებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. (დიაგრამა 3.4)

დიგემა 3.4: უმუშევრობის დონე 2009-2019~წ.წ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

ამოქმედდა საქართველოს საბაჟო კოდექსი, ამის შედეგად საბაჟო კანონმდებლობა ევროკავშირის კანონმდებლობას დაუახლოვდა.

ეკონომიკის ერთ-ერთ მზარდ სექტორს წარმოადგენს ტურიზმი, მისი წილი მშპ-ში 11,5%-ია, ხოლო დასაქმებულთა რაოდენობა 150 ათას ადამიანს აჭარბებს. ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით აქტიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

2018 წელს ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავალმა რეკორდულ მაჩვენებელს მიაღწია და 3,2 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. შემოსავლების მიხედვით ყველაზე დიდი წილი რუსეთის ფედერაციაზე მოდიოდა (26%), მას თურქეთი მოსდევდა 14%-ით და ევროკავშირი 12%-ით. (დიაგრამა 3.5)

დიაგრამა 3.5: შემოსავლები ტურიზმიდან (მლნ აშშ დოლარი)



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება 2018 წელს მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებას, საწარმოების ფლობაში არარეზიდენტების წილის შემცირებას და საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლას, ვალდებულებების შემცირებას უკავშირდება. (დიაგრამა 3.6)

დიაგრამა 3.6: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

რასაკირველია, ეკონომიკური რეფორმების განხორციელების ძირითადი მიზანი სიღარიბის დონის შემცირებაა. ბოლო წლებში შემცირების ტენდენციით ხასიათდება სიღარიბის დონე. ამას ბიზნეს სექტორში დასაქმების ზრდა და რეალური ხელფასების მატება უწყობს ხელს. (დიაგრამა 3.7)

დიაგრამა 3.7: სიღარიბის დონე 2004-2019 წ.წ.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური/ https://www.geostat.ge/ka

დღესდღეობით საქართველოში მკვეთრად დგას კაპიტალის ბაზრის განუვითარებლობის პრობლემა, მცირეა ფასიანი ქაღალდების ბაზარი. ნდობა აქციონერებსა და კომპანიებს შორის დაბალია. ხელისუფლება საკანონმდებლო სტიმულებითა და კერძო საპენსიო ფონდის განვითარებთ ცდილობს კაპიტალის ბაზრის განვითარებას. კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობით გამოირიცხება ბაზრის მონაწილეების დისკრიმინაცია.

ზემოხსენებლი პოზიტიური ძვრები ეკონომიკაში არ არის საკმარისი მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის მკვეთრად გასაუმჯობესებლად. ქვეყნის მთავარ გამოწვევად კვლავ რჩება სიღარიბე, უმუშევრობა, ეკონომიკური უთანაბრობა. მსოფლიო ბანკის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით სახელმწიფოს ძალისხმევა უმუშევრობის დაძლევის თვალსაზრისით არ აღმოჩნდა საკმარისი. საქართველო კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე ეკონომიკურად უთანასწორო ქვეყნად ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია გარდამავალ პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ ეტაპზე საქართველოს ეკონომიკის მკვეთრად დაცემა, რომელიც დაკავშირებული იყო როგორც პოლიტიკურ ისე ეკონომიკურ მიზეზებთან. ზოგადი ეკონომიკური მაჩვენებლების გაურესების შედეგად ქვეყანა ბევრად ჩამორჩა ყოფილ სოციალისტურ და პოსტსაბჭოთა ქვეყნებს. ჩამორჩენილობის დასაძლევად აუცილებელი გახდა ეკონომიკის დაჩქარებული განვითარება. ეკონომიკური სისტემის რღვევის, დაბალეფექტიანობისა და ეკონომიკური კრიზისის ფონზე დადგა ძლიერი და ქმედითი ეკონომიკური რეფორმების გატარების აუცილებლობა.

ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკის ნგრევის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის აუცილებლობა. თავდაპირველად საქართველოში შექმნილი უმწვავესი ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ძირითად მიზეზებს წარმოადგენდა, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესების გაჭიანურება, სახელმწიფოს პასიურობა ეკონომიკურ მართვასა და რეგულირებაში, საკანონმდებლო ბაზის მოუმზადებლობა, არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება და სხვ.

ეკონომიკის საბაზრო მოდელზე გადასვლისას განიხილავენ ორ მოდელს, ესენია შოკურ თერაპია და გრადუალიზმი. პირველ ეტაპზე საქართველომ შოკური თერაპიის მოდელი აირჩია და მის განხორციელებას „ბალცეროვიჩის გეგმის“ მიხედვით შეუდგა. თუმცა შეიძლება ითქვას, რომ გეგმის შესრულება არც თუ ისე წარმატებულად წარიმართა, რადგან საქართველომ 10 მოცემული პუნქტიდან მხოლოდ 3-ის შესრულება შეძლო.

გარკვეული ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება 1995 წლიდან, რომელმაც დაახლოებით სამი წელი გასტანა. მოცემულ ეტაპზე, საფინანსო სისტემა დასტაბილურდა, ეკონომიკის ცალკეულ სექტორებში წარმოების ტემპების ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა. შეიქმნა საბაზრო ეკონომიკის პრინციპების შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა. განხორციელდა ფულად-საკრედიტო და ფისკალურ სფეროში რეფორმა, შემოღებულ იქნა ეროვნული ვალუტა-ლარი.

2003 წლის შემდეგ საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები გატარდა. აღდგა ფინანსური წესრიგი, გაიზარდა საგადასახადო შემოსავლები, გადაილახა საბიუჯეტო კრიზისი, საგრძნობლად გამოსწორდა კრიმინალური სიტუაცია. სავაჭრო რეგულირების გამარტივებისა და ლიბერალიზაციის შემდგომ საქართველოს სავაჭრო საზღვრები კიდევ უფრო გაიხსნა, გაუმჯობესდა კრედიტებზე ხელიმისაწვდომობა, ჩამოყალიბდა კონკურენტუნარიანი საბაზრო გარემო.

მთავრობამ დაიწყო ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესი, რომელშიც ის ხშირად საბაზრო მოთამაშის როლს ითავსებდა. ამ პროცესს თან ახლდა მთავრობის მანკიერი ჩარევა. ხელისუფლების რეალურ მიღწევებთან ერთად, ეკონომიკაში მრავალმა გარდაქმნამ მითოლოგიური ხასიათი მიიღო. პოსტრევოლუციური მთავრობის პირობებში დაგროვდა საკუთრების უფლების დარღვევის მრავალი ფაქტი, განსაკუთრებით ქართველ მეწარმეებთან მიმართებაში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ საქართველო ახალი ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დადგა, რომლის დაძლევაც დონორთა დახმარების დამსახურებით გახდა შესაძლებელი.

2012 წელს მთავრობის ცვლილების შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის გაუმჯობესების ძირითადი ორიენტირები გამოიკვეთა. ახალი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ მთავარ პრინციპს დაეყრდნო. ესენია, სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზე, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევაზეა ორიენტირებული, მეორე პრინციპს წარმოადგენს ისეთი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც ინკლუზიური ეკონომიკის ზრდას შეუწყობს ხელს, აქ იგულისხმება მოსახლეობის ჩართულობა ეკონომიკის განვითარების პროცესში, საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობა, სოციალური თანასწორობა. მესამე ძირითად პრინციპად დასახელდა ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება ეკონომიკური განვითარების პროცესში. 2012 წლიდან

ხელისუფლების მთავარი გამოწვევა იყო საკუთრების უფლების დაცვა, რომელიც წინა წლებში მასობრივად ილახებოდა. აღნიშნული მანკიერი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად შეიქმნა სხვადასხვა ინსტიტუტები, განხორციელდა რეფორმები და გადაიდგა გარკვეული სამართლებრივი ნაბიჯები. მსოფლიო რეიტიგების მიხედვით დაფიქსირდა სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების ზრდა.

კონკურენტული ბაზრის განვითარების მიზნით მთავრობამ დაიწყო კონკურენციის განვითარების რეფორმა, შეიქმნა კონკურენციის სააგენტო, რომლის მიზანი კონკურენციის პოლიტიკის გატარება, კონკურენციის განვითარების ხელშეწყობა, დაცვა და ანტიკონკურენციული ქმედებიბის გამოვლენა და აღკვეთაა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვთარებს მიზნით დაიწყო რეფორმების განხორციელება. შეიქმნა „აწარმოე საქართველოში“ და „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების“ სააგენტოები.

ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებით, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას და გულისხმობს ექსპორტის ზრდისა და ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობებს. აღნიშნული შეთანხმების ხელმოწერა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვან პოზიტიურ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ამან საქართველოს მოქალაქეთა დიდ ნაწილში ეკონომიკური ოპტიმიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი.

მიუხედავად გარკვეული წარატებებისა, აღსანიშნავია რომ საქართველო სრულფასოვნად ვერ იყენებს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის პრიორიტეტებს. აუცილებელია ინვესტიციების მოზიდვა, ადგილობრივი წარმოების გაზრდა. არსებული რთული ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ღირებული რესურსი. აუცილებელია აღდგეს მრეწველობის დარგები, რომლებიც ადგილობრივ რესურსებს ეფუძნება. გარდა ტურიზმისა და სოფლის

მეურნეობისა ეკონომიკურ პრიორიტეტებში აქცენტი სხვა რესურსების გამოყენებაზე და განვითარებაზე უნდა გაკეთდეს.

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების მიზნით უნდა განხორციელდეს გარკვეული ქმედებები ფარული მონოპოლიების წინააღმდეგ.

აუცილებელია ზრუნვა ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციაზე, რადგან არასტაბილური ვალუტა აჩენს უარყოფით მოლოდინებს და ერთგვარი მუხრუჭი ხდება ეკონომიკური ზრდისთვის. არასტაბილურობის განცდა ინვესტორებს უქმნის არასაიმედო გარემოს ინვესტირებისათვის, ბიზნესი ვერ ახერხებს წარმოების სწორად დაგეგმვას. ყოველივე ეს საბოლოოდ ამცირებს ეკონომიკას.

მოკლევადიანი ეფექტები უნდა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს ეკონომიკის განვითარების საშუალო და გრძელვადიანი გეგმა. გლობალიზაციის პროცესში, რომლის ნაწილს ჩვენი ქვეყანა წარმოადგენს მნიშვნელოვანია ინოვაციებისა და ტექნოლოგიების ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანანიაშვილი ი., აჩელაშვილი კ., მესხია ი., პაპავა ვ., სილაგაძე ა., წერეთელი გ., 2003 - მაკროეკონომიკური რეგულირების მეთოდები და მოდელები; მეცნიერება; თბილისი, 2003.

2. ბახტაძე 2006: ბახტაძე ლ. - გარდამავალი ხანის ეკონომიკა: სალექციო კურსი სოციალური მეცნიერებების მაგისტრატურისათვის/ ლელა ბახტაძე; (მთ. რედაქტორი: მარინე ჩიტაშვილი, ენ. რედაქტორი: ლია კაჭარავა) სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბილისი 2006.

4. ბასილია თ., სილაგაძე ა., ჩიკვაიძე თ. - პოსტსოციალისტური ტრანსფორმაცია: საქართველოს ეკონომიკია XXI საუკუნის მიჯნაზე, თბილისი 2001.

5. ბასარია, მესხია 1995: ბასარია რ., მესხია ი. - გარდამავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პრობლემები / ბასარია რევაზ, მესხია იაკობ; (რედაქტორი: რევაზ კაკულია)თბილისი 1995.

6. ბალცეროვიჩი ლ. -სახელმწიფო გარდამავალ პერიოდში, თბილისი 2002.

7. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი 2010- საქართველო- 2009 ომის შემდგომი გამოწვევები და პერსპექტივები; თბილისი, 2010

8. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი 2008- 2008 წლის კრიზისი საქართველოში წინაპირობა, რეალობა და პერსპექტივა.

8. თეთრუაშვილი ზ., თეთრუაშვილი-ქარდავა მ. 2006 -საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფინანსურ- ეკონომიკური ფაქტორები და მისი რეგულირების მექანიზმები საბაზრო ურთიერთობების ფორმირების პიროებებში

(საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; შიდა ქართლის საერო უნივერსიტეტი;) თბილისი 2006

9. ლეიაშვილი პ. 2017-ეკონომიკური თეორია და რეფორმები თანამედროვე გამოწვევების წინაშე; (სოციალური და ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტი;) თბილისი, 2017

10. მესხია ი., მურჯიკნელი მ. -ეკონომიკური რეფორმა საქართველოში. (თბლისი თსუ-ს გამომცემლობა, 1996.)

11. პაპავა ვ., ასათიანი რ., ხადური ნ., 2004 - პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკა; (საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი; ეკონომისტი;) თბილისი 2004

12. პაპავა ვ., - პოსტრევოლუციურ საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური რეფორმების პათოლოგიური ანატომია; შრომები (საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია; საგამომცემლო ფირმა სიახლე) თბილისი 2008

13. პაპავა ვ., 2007- თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა-„უკვდავი“ იდეა; (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2007)

14. პაპავა ვ., თაფლაძე თ. 2013 - საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი ტენდენციებისა და პერსპექტივების შესახებ; (საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი; ეკონომისტი;) თბილისი 2013

15. პაპავა ვ., 2015 -საქართველოს ეკონომიკა-რეფორმები და ფსევდორეფორმები; ვლადიმერ პაპავა; (კავკასიის განვითარების ფონდი; თამარ თაფლაძის და არჩილ გეგეშიძის მონაწილეობით;)თბილისი 2015

16. პაპავა ვ., 2013- რუსეთთან ომის შემდგომ საქართველოში გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ზოგიერთი თავისებურების შესახებ; ქართული პოლიტიკა; თბილისი 2013

17. პაპავა ვ., - მკვეთრი ზრდის ეფექტი და პოსტკრიზისული ეკონომიკური ზრდა (პოსტსაბჭოთა ქვეყნების მაგალითზე).

18. პაპავა ვ., 2018 -ეკონომიკური ზრდის შეფასება ევროკავშირის პოსტკომუნისტურ და აღმოსავლეთის პარტნიორების ქვეყნებში; ვლადიმერ პაპავა (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2018)

19. პაპავა ვ., 2018 - დამწევი და ჩამორჩენილი ზრდა- ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო; (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2018)

20. პაპავა ვ., - საქართველოს ეკონომიკა-ოპტიმიზმიდან პრიმიტივიზმამდე. ვლადიმერ პაპავა; (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2017)

21. პაპავა ვ., 2016- დიდი ოცეულის მოწინავე ქვეყნები პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკური ზრდის მიხედვით; ვლადიმერ პაპავა; (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2016)

22. პაპავა ვ., პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ; ვლადიმერ პაპავა; (საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, შორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2013)

23. პაპავა ვ., 2013 - „პოსტვარდისფერი საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები; ვლადიმერ პაპავა; (ტექ. რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი; საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი; ექსპერტის აზრი, 2013)

24. პაპავა ვ., 2016 - გლობალური გამოწვევები და საქართველოს რაციონალური არჩევანი; ვლადიმერ პაპავა (საერთშორისო საეცნიერო პრაქტიკული ჟურნალი; გლობალიზაცია და ბიზნესი, N2/2016)

25. პაპავა ვ., 2000- საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები. თბილისი 2000

26. სილაგაძე ა., პაპავა ვ., ჩიქავა ლ. 2013- ეკონომიკა და ბიზნესი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენხირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი;)თბილისი 2013

27. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, ნაწილი I, II, III. თბილისი 1997-1999-2001.

28. ჭითანავა 1995: ჭითანავა ნ. – საბაზრო ეკონომიკის რეგულირება / ნოდარ ჭითანავა; საქ. რესპ. ეკ. სამინისტრო, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი; თბილისი 1995.

29. ჭითანავა 1997: ჭითანავა ნ. - გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პრობლემები-(მონოგრაფია);(რედ: რევაზ ბასარია; საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსთან არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების ს/კ ინსტიტუტი)- თბილისი 1997.

30. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. - მაკროეკონომიკა, ლექსიების კურსი, თბილისი 2011

31. ხადური ნ., კაკულია ნ., ჩიქობავა მ. -მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სალექციო კურსი, თბილისი

32. ლიბერალური აკადემია 2011: საქართველოს ეკონომიკური ტრანსფორმაცია; დამოუკიდებლობის 20 წელი

33. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1996

34. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 1998

35. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2003

36. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2007

37. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2008

38. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2009

39. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2012

40. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2016

41. საქართველოს ეროვნული ბანკი: წლიური ანგარიში 2019

42. საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესის ზოგადი ანალიზი, 2005- (საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტრთა ასოციაცია; თბილისი, 2005)

43. საქართველო მსოფლიო რეიტინგებში 2012-2019 (საქართველსო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

44. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია 2020; (საქართველოს მთავრობა)

45. ეკონომიკური მიმოხილვა 2018; (საქართველოს პარლამენტი)

46. Determinants of inflation in a transition economy: the case of Ukraine: abstract IMF; prep. By Bogdan Lissovolik.-Washington: IMF 2003.

47. External borrowing in the Baltics, Russia and other states of rh former soviet union the transition to a market economy. –European II dep. Prep by John Odling-smee a. Basil Zavoico, IMF, 1998.

48. Income, inequality and poverty during the transition from planned to market economy/ Branko Milanovic.- Washington, 1998.

49. J. Barkley Rosser, Marina V. Rosser, Ehsan Amed – Income Inequality and the Informal Economy in trtansition Economies; [Jurnal of Comparative Economics 28.; 2000]

50. J. Hanousek, F. Palda 2006, - Problems measuring the underground economy in transition; Economics of Transition; [V. 14(4) 2006]

51. J. D Tatum – Democratic transition in nGeorgia: post-rose revolution internal Pressures on leadership.

52. Khaduri N., 2005- Mistakes Made in Conducting Economic Reforms in Postcommunist Georgia; (Articl in problems of economic transition; feb. 2005)

53. L. Balcerowicz, Dec. 1994- Transition to the Market Economy: Poland, 1989-93 in Comparative perspective; (pub. By Oxford University Press; Vol 9, No19. 1994)

54. M. Lavigne 1999- The economics of transition: from socialist economy to market economy; (Macmillan … © Marie Lavigne 1995, 1999)

55. Meskhia I., Shaburishvili Sh. –Major threats to economic stability in post-comunist Georgia: reality and prognosis; Tbilisi

56. The convergence dynamics of a transition economy: The case of Czech Republic: prep. By Jan Bruha, Jiri Podpiera, Stanislav polak. – Washington 2007

57. Papava V., 2005 - On the theory of post-communist economic transition to market (Georgian Foundation for Strategic and International Studies, Tbilisi, Georgia; International Journal of Social Economics; vol. 32 No1/2, 2005)

58. Papava V., 2013- Economic achievements of postrevolutionaru Georgia-Myths and Reality (problems of economic transition, vol 56; no.2 2013)

59. Staglitz 1996- Shok Therapy in Russia: Was there an iternative? From plan to market. [world development report, Oxford university press, 1996.

60. А. Мартынов, В. С. Автономов, И. М. Осадчая; Ин- т мировой экономики и международных отношений РАН. - М. : Экономика, 2005 (Чебокс. тип. N1)

61. Переходная экономика : Моногр.: Теоретические аспекты, российские проблемы, мировой опыт / Авт.: В. С. Автономов, С. П. Аукуционек, А. Н. Клепач и др.; Отв. ред.: В.

62. Неформальная экономика в постсоветском пространстве : Проблемы исслед. и регулирования / Под ред. Ирины Олимпиевой и Олега Паченкова ; Центр независимых социологических исслед.. - СПб. : ЦНСИ, 2003

63. https://www.worldbank.org/

64. https://www.geostat.ge/ka

65. http://www.economy.ge/

66. https://mof.ge/

67. http://gov.ge/